ტაო-კლარჯეთის ძეგლების
2018 წლის
საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები

თბილისი 2019

ტაო-კლარჯეთის ძეგლების
2018 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები

საკვლევი ექსპედიციები ჩატარდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2018 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **"საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევის"** – გამარჯვებული პროექტის – **„თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების, სპერის, ბაიბურთის და ლაზეთის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი" [NHE – 18 – 1109]** – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება **კავკასიის უნივერსიტეტის** მიერ, **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მონაწილეობით.

ექსპედიციების ანგარიშები მოამზადეს: პროფესორმა **თეიმურაზ ხუციშვილმა** (ხელმძღვანელი), **ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა,** პროფესორმა **დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა, ნანა ხუსკივაძემ**

კონსულტანტები: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **დიმიტრი თუმანიშვილი;** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კახა შენგელია;** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ ჯოჯუა**, არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **სამი პატაჯი** (თურქეთი).

ანგარიშები იბეჭდება **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** დაფინანსებით.

ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია საექსპედიციო სამუშაოების დროს.

ავტორთა ჯგუფის მიერ 2014-2017 წლებში ჩატარებული 23 ექსპედიციის ანგარიშები ქვეყნდებოდა 2015 წლიდან.

Reports of 2018 Research Expeditions of Tao-Klarjeti Monuments

The research expeditions were conducted the frame of the winner contest – **Printedand digital catalogues of Georgian Cultural monuments in the area of historical sites in Turkey –Sper, Bayburt and Lazeti [NHE – 18 – 1109]** which were announced by **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSF)** in 2018 within state scientific grant competition - **Scientific Research of Material and Spiritual Heritage of Georgia Aboard**.

The project was implemented by **Caucasus University** with Partnership of **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources** and its financial support.

The expeditions' reports were prepared by: Professor **Teimuraz Khutsishvili** (scientific head), **Bebur Gozalishvili, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili,** Professor **Davit Maisuradze, Levan Tsikarishvili, Nana Khuskivadze**

The consultants: Dr. of Arts, Professor **Dimitri Tumanishvili**, Dr. of Philosophy in History, Professor **Kakha Shengelia**, Dr. of Philosophy in History, Professor **Teimuraz Jojua,** Dr. of social science, Dr. of Archaeology **Sami Pataci (Turkey).**

The expeditions' reports are printed by **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia** funding.

Photos that are not indicated the owner or the author a`re taken during the expedition work.

The reports of research expeditions conducted by authors group in 2014-2017 are published in 2015 and 2016 years.

The reports of 23 research expeditions conducted by authors group in 2014-2017 have been published since 2015.

© თ. ხუციშვილი, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოღუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი, ნ. ხუსკივაძე
კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პ. საკაძის 1, თბილისი

© T. Khutsishvili, B. Gozalishvili, A. Imedashvili, Sh. Koghuashvili, D. Maisuradze, L. Tsikarishvili, N. Khuskivadze
"Caucasus University Publishing House", P. Saakadze 1, Tbilisi, Georgia

ISBN 978-978-9941-9639-1-9

სარჩევი

შესავალი 5

ექსპედიცია 24 6
ზემო ქოლიქი, ხიდი სოფლის აღმოსავლეთით 6
კაისერი, მშრალი წყობის ნაგებობა 6
ხორტიკი, ეკლესია სოფლის სამხრეთით 7
კალგონსი, ეკლესია (?) და საფლავის ქვა 7
გირანსი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვა 8
კანასორი, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით 8
კანასორი, ხიდი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 9
ქომფური, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით 9
ქომფური, ციხე სოფლის აღმოსავლეთით 9
ჰიშენი, ნუმან ფაშას სასახლე 11
გაბანი, ეკლესია და თურბე 11
ქალეფისირიკი, ციხე 13
ტანძოთი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 14
ქურდეშენი, ეკლესია 15
გარმირიქი, ეკლესია 16
გარმირიქი, ეკლესია (?) სოფლის აღმოსავლეთით 18
გარმირიქი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 18
დაპი, მეგალითური კომპლექსი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 19
ზირენსი, სოფელში დაფიქსირებული ქვა ოსმალური სიმბოლიკით 21
ჯენკერი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 21
ვანქი, ეკლესია 22
მადური, ეთნოგრაფიული მუზეუმი 22
ხუნუთი, ციხე ჯოშის უბნის დასავლეთით 23
ხუნუთი, ეკლესია სირთბაშის საზაფხულო სადგომებზე 23
ხუნუთი, ძველი ჯამე 24
ხოდაჭური, ეკლესია ჯუჯებაღის უბანში 24
ხოდაჭური, ეკლესია ჰანტაჩორის უბანში 26
ხოდაჭური, ეკლესია გირმანის უბანში 26
ვაჰნასი, ციხე 27
ვაჰნასი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 27
ვაჰნასი, მშრალი წყობის ნაგებობა 28
ქარაქაფური, მეგალითური ნაგებობა 28
კილენსი, ციხე სოფლის სამხრეთით 29
კილენსი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვები 30
ვაშლოვანის ციხე 30
გაღმუთი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვა 32
ტაპსური, ეკლესია (?), საფლავის ქვები 32
მუხურგური, ეკლესია 33
მუხურგური, ციხე 34
ხოდაჭური, დარანი 35
ხოდაჭური, სომხური სკოლა და წარწერიანი ქვები 35
სპერი, ციხე 37
სპერი, ხიდი 38
სპერი, ძველი ჯამე 39
დიშასორი, მონასტერი სოფლის ჩრდილო-აღმსოავლეთით 39
ქერაფი, ეკლესია 40
გაბანი, ხიდი 41
იშხანი, ხიდი 41

ექსპედიცია №25 42
კომკი, ხიდი სოფლის სამხრეთით 42
აგუნდერი, ხიდი 42
მეზერექი, ეკლესია 43
გინდასი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 44
ხოზაფური, ეკლესია 45
პატარა გოჯუქტური, ძველი ჯამე და ყონაღი 46

ალგაჰანსი, ეკლესია 47
ნორაქალაქის ციხე 48
კაღანსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 48
ქიფანსი, ეკლესია 49
არნასი, მეგალითური (?) ნაგებობა სოფლის დასავლეთით 50
სიდონსი, ციხე (?) სოფლის სამხრეთით 51
კაღანსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 51
ფერსორი, ციხე 52
ფერსორი, ეკლესია 53
ავჯიქოი, მონასტერი (?) სოფლის დასავლეთით 53
ავჯიქოი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 55
მულქქოი, ხიდი 55
ორთაორენი, ეკლესია 56
ინჯესუ, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 56
ზეირეკი, ეკლესია 57
კარაჰანი, მშრალი წყობის კომპლექსი სოფლის ჩრდილოეთით 58
კარაჰანი, კომპლექსი 59
ბახჩევანქი, ციხე-ქალაქი სოფლის აღმოსავლეთით 60
ჭიფოთი, ეკლესია 62
ისასორი, ეკლესია და არქეოლოგიური ნივთები 63
ხოდაჭური, მღვიმე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 64
კარსორი, ეკლესია სოფლის სამხრეთით 64
სპერი, მედრესეს შენობა 65
მითენსის კოშკი 65
ზემო ქანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 65
გირმანი, ეკლესიები სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 65
გაღმუთი, ეკლესია 66
ვაინა, ხიდები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 67
ფოქსორი, მშრალი წყობის ნაგებობა 68
დოლისყანა, ეკლესია (?) 68

ანბანური საძიებელი 69

შესავალი

ისტორიოგრაფიაში სპერი ქართულ პროვინციად არის ცნობილი. ის მიიჩნევა ქართული ეთნიკური, სახელმწიფოებრივი და კულტურული სივრცის შემადგენელ ნაწილად. თუმცა, იქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების დიდი ნაწილის მდგომარეობის შესახებ კვლევები არ განხორციელებულა.

სპერის საკვლევი ექსპედიციების ამ ანგარიშში წარმოადგენილია მასალა ისტორიული სპერის კულტურის ძეგლების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. საკვლევი ექსპედიციები ჩატარდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2018 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **"საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევის"** – გამარჯვებული პროექტის – **"თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების, სპერის, ბაიბურთის და ლაზეთის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი"** – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება **კავკასიის უნივერსიტეტის** მიერ, **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მონაწილეობით.

2018 წელს ჩატარდა 2 ექსპედიცია (25 დღე) ძირითადად ისტორიულ სპერში. შესწავლილ იქნა ამ მხარეებში მდებარე 200-მდე სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები.

შედეგად, ამ მხარეში დაფიქსირდა წერილობითი წყაროებიდან ცნობილი კულტურის 21 ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა. გარდა ამისა, გამოვლინდა კულტურის 54 უცნობი ძეგლი, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

დაფიქსირებულ ძეგლთა შორისაა: 34 ეკლესია (25 უცნობი), 17 ციხე და კოშკი (10 უცნობი), 10 თაღოვანი ხიდი (9 უცნობი), 14 სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა (მეგალითური, მიწისქვეშა, მღვიმის, საცხოვრებელი და სხვა, მათ შორის 10 უცნობი). პარალელურად დაფიქსირდა სომხური, ბერძნული, რუსული და თურქული კულტურის ცალკეული ძეგლების თანამედროვე მდგომარეობა.

მოხდა ზემოხსენებული თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, გაკეთდა ანაზომები და დადგინდა GPS კოორდინატები. აქვე აღინუსხა 300-ზე მეტი ისტორიული ტოპონიმი და მიკროტოპონიმი.

წარმოდგენილ ანგარიშებში აქცენტები გაკეთებულია იმ ინფორმაციებზე, რომელიც, ჩვენი აზრით, სიახლეს, განსხვავებულ ინტერპრეტაციას ან დამატებით ცნობებს შეიცავს. მასალები წარმოდგენილია ნახვის თანმიმდევრობის გათვალისწინებით.

ექსპედიციებისას მიკვლეული ყველა მნიშვნელოვანი სიახლე განთავსებულია **„კვლევის ცენტრის"** ფეისბუქ გვერდზე (**საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი)**.

2018 წლის ექპედიციებისას მიკვლეულ ძეგლთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ციხეები: ქომფური, ჯენკერი; ეკლესიები: კანასორი, მუხურგური, მეზერექი; მონასტრები: დიშასორი, ავჯიქოი; მეგალითურ ნაგებობათა კომპლექსები: დაპი, ქარაქაფური; შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ვაშლოვანისა და ნორაქალაქის ციხეების იდენტიფიცირება.

ამჟამად მიმდინარე პროექტი წარმოადგენს გარკვეულწილად გაგრძელებას **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2013 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **"საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევის"** – გამარჯვებული პროექტისა – **"თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების, ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი"**, რომელიც 2014-2016 წლებში განხორციელდა **კავკასიის უნივერსიტეტის** მიერ, **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მონაწილეობით.

2017 წელს საკვლვი ექსპედიციები გაგრძელდა საკვლევი ჯგუფის ძალებით.

ავტორთა ჯგუფის მიერ 2014-2018 წლებში ტაო-კლარჯეთში ჩატარდა 25 ექსპედიცია (257 დღე). დაფიქსირდა წერილობითი წყაროებიდან ცნობილი 500-მდე ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა. გარდა ამისა, გამოვლინდა 600-ზე მეტი უცნობი ძეგლი, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ქართულ, რუსულ თუ დასავლურ წერილობით წყაროებში. ამ ექსპედიციების ანგარიშები გამოქვეყნებულია 2015-2019 წლებში.

ექსპედიცია №24

ექსპედიცია განხორციელდა 2018 წლის 20-31 აგვისტოს, ისტორიულ სპერში, რომელიც ამჟამად თურქეთის ერზურუმის პროვინციის (Erzurum İl) ისპირისა (Ispir İlçe) და ფაზარიოლუს (Pazaryolu İlçe) რაიონებს მოიცავს.

რამდენიმე ძეგლი დაფიქსირებულია ისტორიული ტაოს ტერიტორიაზეც.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ლევან წიქარიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ბებურ გოზალიშვილი, შალვა კოღუაშვილი, ანა იმედაშვილი, დეა სოსელია.

20.08. 2018

ზემო ქოლიქი, ხიდი სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ტაოს სოფელ ზემო ქოლიქის (Irmakyanı) აღმოსავლეთით 1.5 კილომეტრზე, მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილია უხეშად თლილი ქვითა და დუღაბით ნაგები ხიდის ბურჯი (40°49'2.27"N; 41°37'7.82"E). ნაგებობა სავარაუდოდ XIX-XX საუკუნეების უნდა იყოს.

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

21.08. 2018

კაისერი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული სპერის სოფელ კაისერის, თანამედროვე სოფელ ჯანკურტარანის (Cankurtaran) ჩრდილო-დასავლეთით, 0.5 კილომეტრზე, მთის წვერზე შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობის უმნიშვნელო ფრაგმენტები (40°23'58.44"N; 41°0'13.00"E). იკითხება 2 მეტრი სიგრძისა და 1 მეტრამდე სიმაღლის, საშუალო ზომის ქვით ნაგები, მშრალი წყობის კედელი.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ხორტიკი, ეკლესია სოფლის სამხრეთით

ისტორიული სპერის სოფელ ხორტიკის, თანამედროვე სოფელ კოპრუქოის (Köprüköy) სამხრეთით 1.7 კილომეტრზე, ადგილობრივთა გადმოცემით ეკლესია ყოფილა (40°24'18.65"N; 40°59'0.26"E). წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ეკლესია 2 წლის წინათ, გზის მშენებლობისას დაუნგრევიათ. ადგილზე არაფერია დარჩენილი.

ეკლესია, ფოტოარქივი

ამჟამად ეკლესიის ადგილი

კალგონსი, ეკლესია (?) და საფლავის ქვა

ისტორიული სპერის სოფელ კალგონსში, თანამედროვე დეღირმენლიში (Değirmenli) მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის ადგილს (40°30'2.80"N; 41°4'10.02"E). ნაეკლესიართან შემორჩენილია საფლავის გათლილი ქვა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ეკლესიის ადგილი

საფლავის ქვა

ამავე სოფლის განაპირას, ხეობაში მოსახლეობა გადმოცემით ადასტურებს მეორე ეკლესიის არსებობას, რომლისგანაც აღარაფერია დარჩენილი.

გირანსი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვა

ისტორიული სპერის სოფელ გირანსში, თანამედროვე სოფელ ორთაქოიში (Ortaköy), სოფლის წყაროში ჩატანებულია არაბულწარწერიანი ქვა (40°25'14.38"N; 41°2'0.91"E).

არტეფაქტი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ისტორიული სპერის, სოფელ სითანქში, თანამედროვე სოფელ ბაშპინარში (Başpınar) მოსახლეობამ გადმოცემით იცის, რომ სოფელში ეკლესია ყოფილა, თუმცა ადგილს ვერ უთითებენ.

22.08. 2018

კანასორი, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ კანასორის, თანამედროვე სოფელ კოჩკოის (Koçköy) აღმოსავლეთით, 1 კილომეტრზე, ბორცვზე შემორჩენილია ეკლესიის ფრაგმენტები (40°27'54.22"N; 41°7'11.94"E). იკითხება დარბაზული ეკლესიის გეგმა. ჩრდილოეთი კედლის შემორჩენილი სიმაღლე 3.3 მეტრია, დანარჩენი ნაწილი გეგმის დონემდეა დანგრეული. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. კარი მას დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა. ეკლესიის ირგვლივ საფლავის ქვებია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ,,ვანქს'' უწოდებს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

კანასორი, ხიდი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ კანასორის, თანამედროვე სოფელ კოჩკოის (Koçköy) ჩრდილო-დასავლეთით 1.2 კილომეტრზე, კანასორის წყალზე, შემორჩენილია ქვის თაღოვანი ერთმალიანი ხიდი (40°28'15.74"N; 41°5'46.45"E). ხიდი განახლებულია და ზემოდან ბეტონის სქელი ფენაა დასხმული.

ხიდი მოხსენიებული არ არის ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ამავე სოფლის ზემოთ, ადგილს რომელსაც ,,ქოჩუნ ბოღაზს'' („ყოჩების ყელი“) უწოდებენ, თურქულ წერილობით წყაროებში დაფიქსირებულია ვერძის ფორმის ქვები. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ქვები განადგურებულია. მათივე ინფორმაციით, სოფლის ტერიტორიაზე ყოფილა კიდევ 2 ეკლესია, რომელთაგან არაფერია შემორჩენილი. ამ ადგილებს ,,საზის'' და ,,ჯედას'' უწოდებენ.

ქომფური, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ ქომფურის, თანამედროვე სოფელ დურუქოის (Duruköy) აღმოსავლეთით, 4 კილომეტრზე, ქედზე, ზღვის დონიდან 2605 მეტრზე შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები (40°30'30.74"N; 41°10'55.11"E). ეკლესია ძლიერაა დაზიანებული. იკითხება მხოლოდ დუღაბითა და უხეში ქვით ნაგები სამხრეთი კედლის წყობა. ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა „აღაჯ ქილისეს“ („ხის ეკლესიას“) უწოდებს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ქომფური, ციხე სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ ქომფურის, თანამედროვე სოფელ დურუქოის (Duruköy) აღმოსავლეთით 4 კილომეტრზე, ქედზე, ზღვის დონიდან 2630 მეტრზე შემორჩენილია მოზრდილი ციხის (90 X 75 მ.) ფრაგმენტები (40°30'32.66"N; 41°10'53.76"E). იკითხება მართკუთხა გეგმის ციხე, რომლის ყველა კუთხეში და გვერდებზე კუთხოვანი გოდლებია. კედლების სიგანე 2-დან 3 მეტრამდეა.

ციხე ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვის თანაბარი მწკრივებით. გამოყენებულია დუღაბი. ციხე გეგმის დონემდეა დანგრეული.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

„Google Earth“-ის აეროფოტო

საერთო ხედი

კედლების კონტური

გოდლების კვალი, დასავლეთი მხარე

კედლის კონტური

დუღაბით ნაშენი კედლების ფრაგმენტები

ჰიშენი, ნუმან ფაშას სასახლე

ისტორიული სპერის სოფელ ჰიშენში, თანამედროვე სოფელ ნუმანფაშაში (Numanpaşa) შემორჩენილია თურქი დიდებულის ნუმან ფაშას (XVIII ს.) სასახლე (40°32'50.98"N; 41°6'42.53"E). ნაგებობა დაზიანებულია, შემორჩენილია 10-მდე ოთახი, მათ შორის თურქული აბანო და სამლოცველო.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ამავე სოფლის მოსახლეობა ადასტურებს სოფელში ერთ ეკლესიას, ხოლო სოფლის მიდამოებში (ადგილები - „მურგებეთი“ და „ათჩაირი“) ორი ეკლესიის არსებობას. მათ შესახებ მოსახლეობამ მხოლოდ გადმოცემით იცის.

გაბანი, ეკლესია და თურბე

ისტორიული სპერის სოფელ გაბანში, თანამედროვე სოფელ ბაღჩელში (Bahçeli), (ამჟამად გაბანი ბახჩელის ერთ-ერთი უბანია), დასახლებასთან შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ეკლესია (40°33'32.27"N; 41°4'12.05"E). ეკლესიას ჩამონგრეული აქვს გადახურვა. იკითხება

სამსივრციანი ეკლესიის გეგმა. საკურთხევლის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს მართკუთხა სათავსებია. კარი დასავლეთიდან აქვს. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვის თანაბარი მწკრივებითა და დუღაბით. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 5 მეტრამდეა.



გ. ბაგრატიონის გეგმა

ამავე სოფელში, ეკლესიასთან მდებარე სასაფლაოზე ნუმანფაშას ძველი თურბეა (40°33'35.73"N; 41°4'18.16"E).



ისტორიული სპერის სოფელ ჩიგონუსში, თანამედროვე სოფელ ჩიჩეკლიში (Çiçekli), ადგილს, რომელსაც მოსახლეობა „ქილისენინ ბოინას“ („ეკლესიის გადასასვლელი“) უწოდებს, ყოფილა ეკლესია. ადგილობრივთა თქმით ადგილზე არაფერია შემორჩენილი.

ისტორიული სპერის, სოფელ დიზანსში, თანამედროვე სოფელ თექფინარში (Tekpınar) მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის ადგილს, თუმცა თავად ძეგლი არავის ახსოვს. ამჟამად ამ ადგილზე სახლია (40°30'47.67"N; 41° 5'26.72"E).

23.08. 2018

ქალეფისირიკი, ციხე

ისტორიული სპერის სოფელ ქალეფისირიკში, თანამედროვე სოფელ არაქოიში (Araköy) შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი საშუალო ზომის ციხე (40°33'31.03"N; 41°15'26.31"E). ციხე სოფელში მდებარე მცირე კლდეზეა აშენებული. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 7 მეტრია. ციხის შიდა სივრცე გამოყენებულია ადგილობრივთა მიერ სხვადასხვა დამხმარე სათავსად. ცენტრალურ ნაწილში აგებულია ჯამე.

ტანძოთი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ ტანძოთის, თანამედროვე სოფელ ახლათლის (Ahlatlı) ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1.5 კილომეტრზე, რთულად მისადგომ კლდეზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (40°35'44.90"N; 41°18'18.01"E). დარჩენილია ციხის 1 მეტრამდე სიმაღლის დუღაბით ნაგები კედლები. იკითხება გეგმა – ციხის ორმაგი გალავანი და შიდა ნაგებობების ფრაგმენტები. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია წყლის მოზრდილი ავზი. კლდეზე, სადაც ციხეა გაშენებული, ციხის გალავნის გარეთ შემორჩენილია კიდევ რამდენიმე ნაგებობის ფრაგმენტები, მათ შორის გეგმის დონემდე დანგრეული სავარაუდოდ ეკლესიის ნაშთები, შირიმის გათლილი ქვები და პილასტრების ნაწილები. ეკლესიის სიახლოვეს მოზრდილი მართკუთხა ნაგებობაა, ესეც სავარაუდოდ, წყლის ავზი უნდა ყოფილიყო. ასევე, ავზი უნდა ყოფილიყო ამავე კლდეზე ამოკვეთილი მართკუთხა ფორმის ჩაღრმავება. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ,,ქალე თაშს'' („ციხის კლდეს“) უწოდებს.

ტანძოთის ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ციხის მდებარეობა

წყლის ავზის ფრაგმენტები

კედლების შემორჩენილი ფრაგმენტები

ციხის მდებარეობა

ეკლესიის გათლილი ქვა

ეკლესიის ადგილი

ამავე სოფელში მოსახლეობა ადგილს ,,ქილისე სირთს'' („ეკლესიის ქედს") უწოდებს. მათივე თქმით, ადგილზე არაფერია დარჩენილი.

ქურდეშენი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ ქურდეშენში, თანამედროვე სოფელ გეჩიტაღზიში (Geçitağzı) შემორჩენილია ეკლესია (40°39'4.56"N; 41°17'36.12"E). ეკლესია შვერილაფსიდიანი უნდა ყოფილიყო. ნაგებია კარგად დამუშავებული გათლილი ქვით. კარი დასავლეთიდან აქვს. კარის თავსართი შემკულია და მითითებულია აგების თარიღი – 1887 წელი. ადგილობრივთა თქმით, სომხური ეკლესია სკოლად იყო გადაკეთებული, რომელიც 13 წლის წინათ ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.





ეკლესიის სიახლოვეს ხის ფარდულის კედელზე ამოკვეთილია სამსტრიქონიანი სომხური წარწერა (40°39'4.84"N; 41°17'37.22"E). წარწერას აქვს თარიღი – 1887 წელი.



გარმირიქი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ გარმირიქში, თანამედროვე სოფელ ჩამლიკაიას (Çamlıkaya) იავუზლარის უბანში შემორჩენილია მოზრდილი ეკლესიის ფრაგმენტები (40°37'10.16"N; 41°15'10.65"E). სავარაუდოდ XIX საუკუნეში აგებული სომხური ეკლესია, გადაკეთებულია სკოლად, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. ეკლესია ნაგები ყოფილა თანაბარი ზომის, უხეშად დამუშავებული ქვების თანაბარი მწკრივებით. გამოყენებულია დუღაბი. ეკლესია შვერილაფსიდიანი, დარბაზული ტიპის უნდა ყოფილიყო. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 3 მეტრამდეა. ეკლესიის სიახლოვეს მცირე ზომის ქვაა რამდენიმე სომხური გრაფემით. ეკლესიის ორნამენტიანი ქვები გამოყენებულია სოფლის საცხოვრებელ სახლებში (40°37'14.74"N; 41°15'17.65"E).

ეკლესიის ქვები მოხსენიებულია მკვლევართა მიერ, თუმცა უშუალოდ ეკლესიის დაფიქსირება არ მომხდარა.

სოფლის ერთ-ერთ სახლში შემორჩენილია ბუხრის ქვა ორნამენტებით და გაურკვეველი წარწერით (სავარაუდოდ სომხური) (40°37'12.15"N; 41°15'8.95"E). ქვაზე თარიღია ამოტვიფრული – 1887 წელი.

ამავე სოფელში შემორჩენილია ყონაღი (ე.წ. სტუმრების სახლი), კარის თაღზე არაბული წარწერით (40°37'15.50"N; 41°15'14.03"E). ამჟამად მიმდინარეობს შენობის შეკეთება.

გარმირიქი, ეკლესია (?) სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ გარმირიქის, თანამედროვე სოფელ ჩამლიკაიას (Çamlıkaya) იავუზლარის უბნის აღმოსავლეთით 1 კილომეტრზე, მცირე ბორცვზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი უხეშად დამუშავებული ქვითა და მიწით ნაგები მართკუთხა ნაგებობის ფრაგმენტები (40°37'14.83"N; 41°16'5.06"E). ნაგებობის დამხრობა აღმოსავლეთისკენაა (მცირედ გადახრილია ჩრდილოეთით). შემორჩენილი კედლების სიმაღლე 0.6 მეტრამდეა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ,,ქილისეს'' („ეკლესიას“) უწოდებს. შესაძლებელია ნაგებობა ეკლესია ყოფილიყო. ეკლესიასთან მდებარე სავარგულებს ადგილობრივი მოსახლეობა „კოშგუთს“ უწოდებს.

გარმირიქი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ გარმირიქის, თანამედროვე სოფელ ჩამლიკაიას (Çamlıkaya) იავუზლარის უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 0.8 კილომეტრზე, ფერდზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი შვერილაფსიდიანი დარბაზული ეკლესია (40°36'58.91"N; 41°15'44.34"E). ეკლესიას გადახურვა ჩაქცეული აქვს. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვის თანაბარი მწკრივებითა და დუღაბით. გამოყენებულია შირიმიც. ეკლესიის სიმაღლის შუა წელზე, ჩატანებულია ხის ძელები. კარი ეკლესიას სამხრეთიდან აქვს. ინტერიერში, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე თითო თაღია. საკურთხეველი ღრმა, ნახევარწრიული ფორმისაა. ინტერიერში განირჩევა შელესილობის ფრაგმენტები. ეკლესიის სიახლოვეს საფლავის ქვებია. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია მარტივი ჯვარი, ერთ-ერთზე – მარტივი ჯვარი და სავარაუდოდ, ბერძნული გრაფემები. ეკლესიასთან მდებარე სავარგულებს ადგილობრივი მოსახლეობა „ეისთაფის“ უწოდებს.





24.08. 2018

დაპი, მეგალითური კომპლექსი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ დაპის, თანამედროვე სოფელ სანდიკლის (Sandıklı) სამხრეთ-აღმოსავლეთით 3 კილომეტრზე, მდებარეობს წერილობითი წყაროებიდან ცნობილი მეგალითური კომპლექსი (40°24'32.07"N; 41°5'49.19"E) (კომპლექსთან მისასვლელი შედარებით მარტივი გზა სოფელ ჰალიფაშას, ისტორიული სოფელ აბჯრისის საზაფხულო სადგომებიდანაა). კომპლექსი კონუსური მთის წვერზე, ზღვის დონიდან 3000-3050 მეტრზეა გაშენებული. ნაგებია დიდი ზომის ქვით, უდუღაბოდ. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5 მეტრია. კომპლექსის გალავანი კლდოვან ფერდზეა შემოვლებული, რომლის ერთ მხარეს ბუნებრივი, რთულად მისადგომი კლდე წარმოადგენს. გალავნის კედლის სიგანე 2-დან 3 მეტრამდეა. შესასვლელ კარს ბუნებრივი, კლდოვანი დერეფანი ადგება, რომლის დასაწყისში კიდევ ერთი კარი უნდა ყოფილიყო. გალავნის შიგნით 10-ზე მეტი მცირე ზომის სათავსია. სათავსები თხელი კედლითაა ნაშენი. ზოგი გალავანზეა მიდგმული, ზოგი გალავნის შიგნით მდებარე ბუნებრივ კლდეზეა მიშენებული. რამდენიმე სათავსი გალავანშიცაა დაყოლებული. კომპლექსის ნაწილი დაზიანებულია, ალაგ-ალაგ გალავანი მორღვეულია და შიდა ნაგებობების ნაწილი - დანგრეული. კომპლექსის გარშემო ქვაყრილია. გალავნის გარეთ, ქვედა დონეზე

კიდევ რამდენიმე ნაგებობის ფრაგმენტია დარჩენილი. შესაძლებელია კომპლექსს ქვედა დონეზე მეორე გალავანიც ჰქონოდა. კომპლექსს ადგილობრივი მოსახლეობა „ქოროღლი ქალეს“ („ბრმის შვილის ციხეს“) უწოდებს.

ციხის მდებარეობა

ციხის კედელის ნაწილი

ციხის შიდა ნაგებობა

ციხის შიდა ნაგებობა

ციხის კარიბჭე

კედელი, ზედხედი

ციხის კედლის ნაწილი

სოფელ დაპში ადგილობრივი მოსახლეობა გადმოცემით ადასტურებს ეკლესიის არსებობას, თუმცა მდებარეობა არავინ იცის.

ზირენსი, სოფელში დაფიქსირებული ქვა ოსმალური სიმბოლიკით

ისტორიული სპერის, სოფელ აკინდოსში, თანამედროვე სოფელ ბოსტანჯიში (Bostancı), ჯამესთან შემორჩენილია ქვა ოსმალური სიმბოლიკით (40°26'24.04"N; 41° 3'50.45"E).

არტეფაქტი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

25.08. 2018

ჯენკერი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ ჯენკერის, თანამედროვე სოფელ დუზქოის (Düzköy) სამხრეთ-აღმოსავლეთით, 3 კილომეტრზე, კლდოვან თხემზე, ჭოროხის თავზე, მარცხენა ნაპირზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (40°31'56.18"N; 41°1'47.46"E). დიდი ზომის ციხის გალავნის კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით, უდუღაბოდ. უკეთ არის შემორჩენილი ციხის აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც გალავანი მცირე კლდეს შემოუყვება. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 4 მეტრია. ასევე, შემორჩენილია ციხის დასავლეთით კარიბჭის ნაშთები, დანარჩენი ნაწილი ქვაყრილადაა ქცეული ან მიწითაა გადაფარული. შიდა ტერიტორიაზე შემორჩენილია ორი, დუღაბით ნაგები ნაგებობის ნაშთები, სავარაუდოდ წყლის ავზები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქალე ბოინას“ („ციხის გადასასვლელს“) უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ამავე სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადგილ „ქილისე სირთს“ („ეკლესიის ქედს“) მიუთითებს, სადაც, მათივე თქმით, აღარაფერია დარჩენილი.

ვანქი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ ვანქში, თანამედროვე სოფელ ულუტაშში (Ulutaş) შემორჩენილია შირიმის დამუშავებული ქვები და ჯვრის ორნამენტიანი ქვა (40°34'40.07"N; 40°54'17.09"E). ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით, ეს ქვები სოფელთან მდებარე ეკლესიიდანაა წამოღებული. ეკლესია მოსახლეობას არ ახსოვს. უთითებენ მხოლოდ დაახლოებით მდებარეობას, სოფლის აღმოსავლეთით 200 მეტრზე (40°34'38.56"N; 40°54'26.74"E). ადგილობრივმა მცხოვრებმა გვაჩვენა ჯვრის გამოსახულებიანი ქვა, რომელიც ასევე ამ სოფელთანაა ნაპოვნი. შესაძლოა ეკლესიას ეკუთვნოდეს.

ვანქის ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

მადური, ეთნოგრაფიული მუზეუმი

ისტორიული სპერის სოფელ მადურში, თანამედროვე სოფელ მორიაილაში (Moryayla) მდებარეობს ეთნოგრაფიული მუზეუმი (40°36'11.84"N; 40°55'44.43"E). ექსპონატები ადგილობრივი მოსახლეობის მიერაა შეგროვებული და მათ შორის შესაძლოა იყოს ისტორიულ სპერთან დაკავშირებული ნივთებიც.

26.08. 2018

ხუნუთი, ციხე ჯოშის უბნის დასავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ ხუნუთის, თანამედროვე სოფელ ჩამლიკაიას (Çamlıkaya), ჯოშის უბნის დასავლეთით 0.5 კილომეტრზე, კლდოვან ქედზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (40°41'51.79"N; 41°6'56.99"E). ციხე ნაგებია უხეშად თლილი ქვის მშრალი წყობით. გალავნის კედლები იკითხება ფრაგმენტულად. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1 მეტრია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „მაგონსს“ უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ხუნუთი, ეკლესია სირთბაშის საზაფხულო სადგომებზე

ისტორიული სპერის სოფელ ხუნუთის, თანამედროვე სოფელ ჩამლიკაიას (Çamlıkaya), სირთბაშის საზაფხულო სადგომებზე შემორჩენილია ეკლესიის ფრაგმენტები (40°43'10.30"N; 41°8'39.72"E). დარბაზული ეკლესია ძლიერაა დაზიანებული, იკითხება გეგმა. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ხუნუთი, ძველი ჯამე

ისტორიული სპერის სოფელ ხუნუთში, თანამედროვე სოფელ ჩამლიკაიაში (Çamlıkaya) შემორჩენილია 1834 წელს აშენებული ჯამე (40°43'1.42"N; 41°6'42.19"E). ინტერიერი უხვადაა მორთული ხის მრავალფეროვანი ორნამენტებით. ჯამე მოქმედია.

ჯამე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ხოდაჭური, ეკლესია ჯუჯებაღის უბანში

ისტორიული სპერის, სოფელ ხოდაჭურში, თანამედროვე სოფელ სირაკონაკში (Sırakonak), ჯუჯებაღის უბანში შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი შვერილაფსიდიანი დარბაზული ეკლესია (40°43'9.18"N; 41°12'32.41"E). ეკლესია კარგადაა შემონახული, ნაგებია თანაბარი ზომის გათლილი ქვითა და დუღაბით. დარბაზულ ეკლესიას გარედან წრიული პასტოფორიუმები აქვს. დასავლეთით კარიბჭე აქვს მიდგმული. ეკლესიის სიახლოვეს, ქვის გალავანში, თაღოვანი შესასვლელის თავზე, ჩატანებული ორსტრიქონიანი სომხური წარწერაა. ეკლესიასთან ყოფილა სასაფლაო. ხოდაჭურის ეკლესია, სავარაუდოდ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული სომხური ძეგლია. ეკლესია 1964 წელს ჯამედ გადაკეთდა. ამ დროს ჩამოქცეული გადახურვა შეიცვალა ხის კონსტრუქციით.



ხოდაჭური, ეკლესია ჰანტაჩორის უბანში

ისტორიული სპერის სოფელ ხოდაჭურში, თანამედროვე სოფელ სირაკონაკში (Sırakonak), ჰანტაჩორის (თანამედროვე ალტუნბაში) უბანში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას (40°43'19.82"N; 41°10'40.32"E). ადგილზე დარჩენილია დუღაბის უმნიშვნელო ფრაგმენტები და საფლავის ქვები. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ჯვარი. ნაეკლესიარის სიახლოვეს, სოფლის ერთ-ერთ სახლთან ორნამენტიანი და ჯვრიანი საფლავის ქვაა სომხური წარწერით. წარწერა დათარიღებულია 1834 წლით.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ამავე სოფლის ტაშბაშის (ალტუნბაში) უბანში ადასტურებენ ეკლესიის ადგილს (40°43'16.15"N; 41°11'29.80"E); არაფერია შემორჩენილი. უბანში XX საუკუნის დასაწყისის სომხების აშენებული სახლებია.

ხოდაჭური, ეკლესია გირმანის უბანში

ისტორიული სპერის სოფელ ხოდაჭურში, თანამედროვე სოფელ სირაკონაკში (Sırakonak), გირმანის (თანამედროვე იუმრუჯას) უბანში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას (40°43'41.95"N; 41°13'4.26"E). ადგილზე დარჩენილია დამტვრეული საფლავის ქვები. ერთ-ერთ მათგანზე გამოსახულია ორი მცირე ზომის ჯვარი.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

27.08. 2018

ვაჰნასი, ციხე

ისტორიული სპერის სოფელ ვაჰნასის, თანამედროვე სოფელ სოღუკსუს (Soğuksu) სამხრეთით 1 კილომეტრზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (40°31'25.50"N; 40°48'23.00"E). ციხე კლდოვან ქედზე, კლდის კიდეზეა გაშენებული. იკითხება 2 მეტრამდე სისქის, საშუალო ზომის ქვის მშრალი წყობით ნაგები კედლების ფრაგმენტები. ერთ კედელში ჩატანებულია ნახევარწრიული გოდოლი. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1 მეტრია.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ვაჰნასი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ ვაჰნასის, თანამედროვე სოფელ სოღუკსუს (Soğuksu) ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.5 კილომეტრზე, მცირე ხევის მარცხენა ნაპირზე, კლდოვან ქედზე შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობის ფრაგმენტები (40°32'48.91"N; 40°49'3.86"E). ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. იკითხება მხოლოდ კედლის უმნიშვნელო ფრაგმენტი. ნაგებია საშუალო ზომის ქვის მშრალი წყობით.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ვაჰნასი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული სპერის სოფელ ვაჰნასის, თანამედროვე სოფელ სოღუკსუს (Soğuksu) ჩრდილოეთით 0.9 კილომეტრზე, მცირე ხევის მარჯვენა ნაპირზე, კლდოვან თხემზე, კლდის კიდეზე შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობის ფრაგმენტები (40°32'32.19"N; 40°48'27.65"E). ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული, ძირითადი ნაწილი ქვაყრილის სახითაა შემორჩენილი. ალაგ-ალაგ იკითხება საშუალო ზომის ქვით, უდუღაბოდ ნაგები კედლების ფრაგმენტები. ტერიტორიაზე შემორჩენილია კერამიკის ფრაგმენტები.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ქარაქაფური, მეგალითური ნაგებობა

ისტორიული სპერის სოფელ ქარაქაფურის, თანამედროვე სოფელ იიდერეს (İyidere) სამხრეთ-დასავლეთით, 0.5 კილომეტრზე, კლდეზე შემორჩენილია მეგალითური ნაგებობის ფრაგმენტები (40°30'40.92"N; 40°50'48.97"E). შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 3 მეტრია. ნაგებია დიდი და საშუალო ზომის ქვის მშრალი წყობით. ნაგებობა კლდის კიდეს შემოუყვება. კედლების ნაწილი ქვაყრილის სახითაა შემორჩენილი. სიგანე ზოგან 2.5 მეტრამდეა. შემორჩენილია ნაგებობის კარი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქალე თაშს“ („ციხის კლდეს“) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ამავე სოფლის განაპირას მოსახლეობა გადმოცემით ადასტურებს ეკლესიის არსებობას, მათივე თქმით ადგილზე არაფერია შემორჩენილი.

28.08. 2018

კილენსი, ციხე სოფლის სამხრეთით

ისტორიული სპერის სოფელ კილენსის, თანამედროვე სოფელ ელმალის (Elmalı) სამხრეთით 1.5 კილომეტრზე, მცირე კლდეზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (40°24'4.06"N; 40°50'16.52"E). ციხე ძლიერაა დაზიანებული. დარჩენილია მხოლოდ 4 მეტრამდე სიმაღლის, უთლელი ქვითა და დუღაბით ნაგები კედლის ფრაგმენტი. დანარჩენი ნაწილი მორღვეულია. ადგილობრივი მოსახლეობა ციხეს „რუმ კალეს“ („რომაულ ციხეს“) უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

სოფელში მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის ადგილს (40°26'9.72"N; 40°49'57.72"E), ადგილზე არაფერია დარჩენილი.

კილენსი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვები

ისტორიული სპერის სოფელ კილენსში, თანამედროვე სოფელ ელმალიში, (Elmalı) სოფლის წყაროში ჩატანებულია 2 არაბულწარწერიანი ქვა, ასევე, სხვა ქვები ოსმალური სიმბოლიკით (40°25'3.72"N; 40°50'5.35"E).

ვაშლოვანის ციხე

ისტორიული სპერის სოფელ სემეხრეკის, თანამედროვე სოფელ მადენკოპრუბაშში (Madenköprübaşı) (ბოლო პერიოდში გაერთიანდა ორი სოფელი მადენი და კოპრუბაში), მადენის უბნის სამხრეთით 1.2 კილომეტრზე, მცირე კლდეზე შემორჩენილია ვაშლოვანის ციხე (40°26'46.33"N; 40°51'23.33"E). ციხის შემორჩენილი კედლები 3-4 მეტრია. დარჩენილია კარიბჭე. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. ციხის კლდეზე მიშენებულია სუბსტრუქცია, სადაც დიდი ზომის წრიული ფორმის

სათავსებია (წყლის ავზები?). სავარაუდოდ, ციხეს ქვედა გალავანიც უნდა ჰქონოდა, რომლისგანაც ამჟამად არაფერია დარჩენილი.

გეოგრაფიული რეალიებისა და ადგილობრივი ტოპონიმის გათვალისწინებით, ზემოხსენებული ციხე, ქართლის ცხოვრებაში, ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ვაშლოვანის ციხეა. ამ ციხესთან მოხდა ერთ-ერთი შეტაკება ბექა მანდატურთუხუცესი-ჯაყელის (1285-1306 წწ.) და აზატ მოსეს ჯარებს შორის 1301/2 წელს, რომელიც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.



29.08. 2018

გაღმუთი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვა

ისტორიული სპერის სოფელ გაღმუთში, თანამედროვე სოფელ აკსუში (Aksu) (ამჟამად გაღმუთი აკსუს ერთ-ერთი უბანია, რომელსაც ქუშდილი ქვია), სოფლის ჯამეს კარის თაღში ჩატანებულია ძველი არაბული წარწერა.

წარწერა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ტაპსური, ეკლესია (?), საფლავის ქვები

ისტორიული სპერის სოფელ ტაპსურში, თანამედროვე სოფელ ბაშქოიში (Başköy), მერკეზის უბანში შემორჩენილია საფლავის ქვები, მათ შორის ერთი წარწერით (წარწერა ძლიერ დაზიანებულია და მისი გარჩევა ვერ ხერხდება). მოსახლეობა დასახლების ცენტრში მიუთითებს ეკლესიის ადგილს (40°36'17.03"N; 40°59'12.99"E), თუმცა ეკლესია არ ახსოვთ. სავარაუდოდ, ეკლესიის თეთრი ფერის ქვები გამოყენებულია სახლების მშენებლობაში.

ეკლესია და არტეფაქტები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ეკლესიის ადგილი

ეკლესიის ქვები (სავარაუდოდ)

საფლავის ქვები

ისტორიული სპერის სოფელ ჩინაჩორში, თანამედროვე სოფელ ჩატაკკაიაში (Çatakkaya) მოსახლეობა მიუთითებს ეკლესიის ადგილს (40°39'50.10"N; 41°1'43.59"E), სადაც ამჟამად სკოლის შენობაა.

ისტორიული სპერის, სოფელ იედიგოლის (Yedigöl) ოშუთის უბანში გადმოცემით ამბობენ ეკლესიას (40°39'30.02"N; 41°4'59.16"E), ადგილს ,,ქილისე მეზარს'' („ეკლესიის საზახულო სავარგულს“) უწოდებენ, თუმცა ადგილზე არაფერია დარჩენილი.

ისტორიული სპერის, სოფელ ჰოთარში, თანამედროვე სოფელ ილდიზტეპეში (Yıldıztepe), ტანსორის მეზრაში, ადგილს უწოდებენ „ქილისენინ ბაშის“ („ეკლესიის თავს“), გადმოცემით ადასტურებენ ეკლესიას, თუმცა არაფერია შემორჩენილი.

30.08. 2018

მუხურგური, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ მუხურგურში, თანამედროვე სოფელ კარაკალეში (Karakale), ქვემო უბნის ჩრდილოეთით, 1 კილომეტრზე, მცირე ხევის მარცხენა ნაპირზე, კლდეზე შემორჩენილია ეკლესია (40°42'55.35"N; 41°16'8.72"E). ეკლესია აგებულია კლდეზე მიშენებულ სუბსტრუქციაზე. გეგმით ჩანს სამსივრციანი, მცირე ზომის ეკლესია. მოპირკეთებულია ნაცრისფერი, კარგად დამუშავებული კვადრებით. ეკლესია ძლიერაა დაზიანებული – ჩამოქცეულია გადახურვა, მოშლილია საკურთხეველი და კედლების ნაწილი. შიდა სივრცეში ორნამენტიანი ქვებია (პილასტრები და ბაზისები). ეკლესიის სიახლოვეს ლაპიდარული სომხური წარწერის დამტვრეული ფრაგმენტებია.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



მუხურგური, ციხე

ისტორიული სპერის სოფელ მუხურგურში, თანამედროვე სოფელ კარაკალეში (Karakale), ზემო უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით 0.7 კილომეტრზე, რთულად მისადგომ კლდეზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ციხის ფრაგმენტები (40°42'55.22"N; 41°17'18.46"E). დიდი ზომის ციხის კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. კედლები, ჩანს, კლდის კიდეს შემოუყვებოდა. ძირითადი ნაწილი მოშლილია. შიდა სივრცეში, კლდეში გაჭრილია წყლის ავზები. ადგილობრივი მოსახლეობა ციხეს „კარაკალეს“ („შავციხეს“) უწოდებს.



ხოდაჭური, დარანი

ისტორიული სპერის სოფელ ხოდაჭურში, თანამედროვე სოფელ სირაკონაკში (Sırakonak), ვაინას უბანში მდებარეობს მცირე ზომის ქვის დარანი (40°45'30.12"N; 41°10'57.25"E), რომელიც შესაძლოა სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა. ნაგებობა ე.წ. „საყინულე“ უნდა იყოს.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ამავე უბანში დაგვიდასტურეს ეკლესიის არსებობა, ზუსტი ადგილმდებარეობა არ იციან.

ხოდაჭური, სომხური სკოლა და წარწერიანი ქვები

ისტორიული სპერის სოფელ ხოდაჭურში, თანამედროვე სოფელ სირაკონაკში (Sırakonak), ქეღუთის უბანში შემორჩენილია გვიანდელი სომხური სკოლის შენობა (40°45'32.35"N; 41°11'7.03"E), რომელსაც დაახლოებით 20 წლის წინათ ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. სოფელში, ქვის სახლებში ჩატანებულია 10-მდე სომხურწარწერიანი ქვა, ყველა მათგანი დათარიღებულია XX საუკუნის დასაწყისით.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

სოფელ ხოდაჭურის სუნისის, ჩუჩულას, გაღმუთის, ახბინის, ვაინას და ჯევიზლიკის უბნებში XX საუკუნის სომხური დასახლებები ყოფილა, ქვის სახლებზე ფიქსირდება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის სომხური წარწერები (15-მდე) და ჯვრების მარტივი გამოსახულებები.

არტეფაქტები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

სოფელ ხოდაჭურის სუნისის უბანში მოსახლეობამ დაადასტურა ეკლესია და გვაჩვენა კედლები, რომელიც უფრო საცხოვრებლი სახლის შენობა უნდა იყოს (40°43'58.16"N; 41°11'53.28"E).

სოფელ ხოდაჭურის ახბინის უბანში დაგვიდასტურეს ეკლესიის არსებობა, თუმცა ძეგლი არავის ახსოვს. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ამ უბანში ერთ-ერთი სახლის მშენებლობისას იპოვეს მაცხოვრის ოქროს ქანდაკება, რომელიც ერზრუმის მუზეუმში გადაუტანიათ.

31.08. 2018

სპერი, ციხე

ისტორიულ სპერში, თანამედროვე ქალაქ ისპირში (Ispir) შემორჩენილია ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებიდან კარგად ცნობილი ციხე (40°29'2.07"N; 40°59'47.10"E). ციხე რამდენიმე ტერასაზეა გაშენებული. ცენტრალურ ნაწილში დიდი ზომის ბაზილიკური ტაძრის ფრაგმენტებია. ციხის ზედა ნაწილში 1800-იან წლებში აგებული ჯამეა. ციხე რესტავრირებულია.



ბაზილიკური ტაძრის ნაშთები

ციხის ჯამე მინარეთით

სპერი, ხიდი

ისტორიულ სპერში თანამედროვე ქალაქ ისპირში (Ispir), სპერის ციხის ჩრდილოეთით, მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, დარჩენილია ძველი ხიდის ფრაგმენტები (40°29'11.66"N; 40°59'46.72"E). ხიდი წყლის დონის დაკლების დროს გამოჩნდა.

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



სპერი, ძველი ჯამე

ისტორიულ სპერში, თანამედროვე ქალაქ ისპირში (Ispir) შემორჩენილია შირიმით ნაგები წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ძველი ჯამე (40°29'0.81"N; 40°59'53.17"E). ჯამეს ინტერიერში გამოყენებულია ხის ე.წ. დედაბოძები და მესხური გადახურვა.

დიშასორი, მონასტერი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ დიშასორის, თანამედროვე სოფელ ულუბელის (Ulubel) ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1.6 კილომეტრზე მდებარეობს მონასტერი (40°26'3.62"N; 40°53'28.12"E). დარჩენილია დარბაზული ეკლესია. ეკლესია ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. გადახურვა ჩაქცეულია. კარი ჩრდილოეთიდან აქვს. ეკლესიის გარშემო ათამდე ნაგებობის ფრაგმენტია. ნამონასტრალის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ჯვრის ორნამენტიანი ქვის ნატეხი და ქვა მარტივი ჯვრის გამოსახულებით. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „მონასტერს“ უწოდებს და ამ ხევს „მონასტერ დერეს“ – „მონასტრის ხევად“ მოიხსენიებს.

მონასტერი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ქერაფი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ ქერაფში, თანამედროვე სოფელ იედიგოზეში (Yedigöze) შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი მცირე ზომის დარბაზული ეკლესია (40°32'48.66"N; 41°2'38.46"E). ეკლესია ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. თაღებსა და სარკმლის საპირეებზე გამოყენებულია შირიმი. კარი სამხრეთიდან აქვს. საკურთხეველში და დასავლეთ კედელში გაჭრილია თითო სარკმელი.

გაბანი, ხიდი

ისტორიული სპერის სოფელ გაბანში, თანამედორვე სოფელ ბახჩელის (Bahçeli) (ამჟამად გაბანი ბახჩელის ერთ-ერთი უბანია), აღმოსავლეთით, მდინარე ჭოროხზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი უთლელი ქვითა და დუღაბით ნაგები ხიდის ბურჯები (40°33'46.12"N; 41° 4'59.00"E.).

იშხანი, ხიდი

ისტორიული ტაოს, სოფელ იშხნის, თანამედროვე სოფელ იშხნის (Işhan) ქვედა უბანში, ბაღებთან, ოლთისის წყალზე შემორჩენილია უთლელი ქვითა და დუღაბით ნაგები ხიდის ბურჯები (40°46'2.21"N; 41°45'2.69"E).

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ექსპედიცია №25

ექსპედიცია განხორციელდა 2018 წლის 7–19 ოქტომბერს, ისტორიულ **სპერში**, რომელიც ამჟამად თურქეთის ერზრუმის პროვინციის (Erzurum İl) ისპირისა (Ispir İlçe) და ფაზარიოლუს (Pzaryolu İlçe) რაიონებს მოიცავს.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ლევან წიქარიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), ბებურ გოზალიშვილი, შალვა კოღუაშვილი, ანა იმედაშვილი.

07.10. 2018

კომკი, ხიდი სოფლის სამხრეთით

ისტორიული არტანის სოფელ კომკის, თანამედროვე სოფელ ტეპელერის (Tepeler) სამხრეთით, 2 კილომეტრზე, მთავარ მაგისტრალთან შემორჩენილია მცირე თაღოვანი ხიდი (41°2'22.33"N; 42°34'35.16"E). ჩანს ძველი გზა ამ ხიდზე გადიოდა. ხიდი სავარაუდოდ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მმართველობის დროს აგებული უნდა იყოს.

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

აგუნდერი, ხიდი

ისტორიული ტაოს სოფელ აგუნდერის, თანამედროვე სოფელ დეღირმენლიდერეს (Değirmenlidere) ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კილომეტრზე შემორჩენილია უხეშად გათლილი ქვითა და დუღაბით ნაგები კედლის ფრაგმენტი (40°44'53.74"N; 42°32'20.02"E). ფრაგმენტი, სავარაუდოდ, ძველი ხიდის შემორჩენილი ნაშთებია.

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

08.10. 2018

მეზერექი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ მეზერექის, თანამედროვე სოფელ გოზტეპეს (Göztepe) ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კილომეტრზე, ფერდზე შემორჩენილია მცირე დარბაზული ეკლესია (40°23'4.97"N; 40°44'18.93"E). ეკლესიას გადახურვა ჩაქცეული აქვს. უკეთაა შემორჩენილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები. ინტერიერში შემორჩენილია საკურთხევლის ამაღლებული ნაწილი. ტაძარს დასავლეთით და აღმოსავლეთით თითო სარკმელი ჰქონია, რომელთა საპირეები ამჟამად მორღვეულია. კარი ეკლესიას ჩრდილოეთიდან ჰქონია. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 4.5 მეტრია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ორენ ქილისეს“ („ეკლესიის ნაშთს“) უწოდებს. ძეგლი დატანილია რუსულ ტოპოგრაფიულ რუკაზე.

ისტორიული სპერის, სოფელ ხონთუსის, თანამედროვე სოფელ გოლიანის (Gölyanı) განაპირას, სასაფლაოზე შემორჩენილია ახლადაშენებული თურბე (40°20'52.41"N; 40°43'2.01"E), ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით მის ადგილას ძველი თურბე ყოფილა. თურბესთან დიდი ზომის ორნამენტიანი ქვაა.

ისტორიული სპერის სოფელ ქისგასორში, თანამედროვე სოფელ აიჩუკურუში (Ayçukuru) შემორჩენილია დაახლოებით 100 წლის წინანდელი სახლი (40°19'1.66"N; 40°39'4.70"E).

ისტორიული სპერის სოფელ ვარინჯესში, თანამედროვე სოფელ გულჩიმენში (Gülçimen), გადმოცემით, ძველი ჯამეს ადგილას ყოფილა ეკლესია (40°23'18.18"N; 40°46'20.63"E), ადგილზე არაფერია, მოსახლეობას ეკლესია არ ახსოვს.

ისტორიული სპერის სოფელ ქირდამოსში, თანამედროვე სოფელ ესენიურტში (Esenyurt) შემორჩენილია ადგილის სახელწოდება – „ქილისელერი“ („ეკლესიები“), სადაც მოსახლეობამ გადმოცემით იცის, რომ ეკლესია მდგარა, თუმცა ის არავის ახსოვს.

ისტორიული სპერის სოფელ ქინდერექში, თანამედროვე სოფელ ფამუკლუდაღში (Pamukludağ), სოფლის გარეთ შემორჩენილია ადგილის სახელწოდება „ქილისე“ („ეკლესია“), თუმცა მოსახლეობას ეკლესია არ ახსოვს.

09.10. 2018

გინდასი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ გინდასის, თანამედროვე სოფელ ლალელის (Laleli) ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.5 კილომეტრზე, მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, მცირე კლდეზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ციხის ფრაგმენტები (40°24'30.08"N; 40°36'32.74"E). ციხე ძლიერაა დაზიანებული, იკითხება მხოლოდ კედლების (სავარაუდოდ კარიბჭის) უმნიშვნელო ფრაგმენტები. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „სელქის“ უწოდებს.

ხოზაფური, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ ხოზაფურში, თანამედროვე სოფელ იაილაოზუში (Yaylaözü) ჯამეს ადგილას, ადგილობრივ მოსახლეობას ახსოვს დიდი ზომის ეკლესია (40°20'26.16"N; 40°32'23.10"E). ეკლესია 1953 წელს ჯამედ გადაუკეთებიათ, რომელიც 1987 წელს დაუშლიათ და მის ადგილას ახალი ჯამე აუშენებიათ. ადგილობრივთა თქმით, ჯამეს კედლებში ძველი ეკლესიის ქვები გამოიყენეს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

10.10. 2018

პატარა გოჯუქტური, ძველი ჯამე და ყონაღი

ისტორიული სპერის სოფელ პატარა გოჯუქტურში, თანამედროვე სოფელ ამბარალანში (Ambaralan) შემორჩენილია ჯამე (40°32'54.32"N; 40°44'35.58"E) გვირგვინისებური, ე.წ. მესხური გადახურვით. ჯამეში ყურანის რამდენიმე ადრეული ბეჭდური რედაქციაა. ჯამესთან ძველი ყონაღია (ე.წ. სტუმრების სახლი).

ძველი ,ყონაღი (ე.წ. სტუმრების სახლი).

სოფელში ფიქსირდება ადგილის სახელწოდება ,,ქიზ ქალე'' („გოგოს ციხე"), ადგილზე არაფერი არ არის შემორჩენილი, თუმცა მოსახლეობას ციხის კედლები ახსოვს.

ალგაჰანსი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ ალგაჰანსის, თანამედორვე სოფელ კუმუშკაიას (Kumaşkaya) განაპირა ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა „თოქმაქ დერეს" („ჩაქაუჩის ხევს") უწოდებს. აქ ადგილია „ქილისეს" („ეკლესიის") სახელწოდებით, სადაც ეკლესია მდგარა (40°32'11.39"N; 40°45'39.08"E). ამ ადგილის სიახლოვეს მართკუთხა კვადრია ჯვრის მარტივი ორნამენტით.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ეკლესიის ადგილი და ქვა ჯვრის მარტივი გამოსახულებით

ამავე სოფელთან კიდევ ერთი ადგილია, სადაც გადმოცემით ეკლესია ყოფილა (40°31'30.00"N; 40°44'47.97"E). ადგილზე არაფერია დარჩენილი.

ნორაქალაქის ციხე

ისტორიული სპერის სოფელ შუა ნორგაჰში, თანამედროვე სოფელ ქუმბეთთეპეში (Kümbettepe), სოფლის განაპირას, მცირე კლდეზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (40°25'32.97"N; 40°46'14.16"E). დარჩენილია ქვითა და დუღაბით ნაგები კედლების უმნიშვნელო ნაშთები. ადგილობრივ მოსახლეობას ციხის კედლები უკეთეს მდგომარეობაში ახსოვს. ადგილობრივთა თქმით, ციხის ძირში აბანოები ყოფილა.

გეოგრაფიული რეალიების გათვალისწინებით, ზემოხსენებული ციხე ქართლის ცხოვრებაში, ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ნორაქალაქი უნდა იყოს, რომელსაც ბრძოლით იღებს ბექა მანდატურთუხუცესი-ჯაყელის (1285-1306 წწ.) შვილი სარგისი 1301/2 წელს, აზატ მოსეს წინააღმდეგ ბრძოლების დროს.

კაღანსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ კაღანსის, თანამედროვე სოფელ მეიდანლის (Meydanlı) სამხრეთ-დასავლეთით 0.8 კილომეტრზე, კლდოვან ფერდზე შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობის ფრაგმენტები (40°29'5.40"N; 40°47'2.55"E). შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1.5 მეტრია. ნაგებობის ძირითადი ნაწილი დაშლილია. ნაგებია საშუალო ზომის ქვის მშრალი წყობით. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „გიაურ ქალეს“ უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ამავე სოფელთან ჩრდილო-დასავლეთით 2 კილომეტრზე, ადგილია, სადაც გადმოცემით ეკლესია ყოფილა (40°31'14.48"N; 40°45'20.49"E). ადგილზე არაფერია შემორჩენილი.

11.10. 2018

ქიფანსი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ ქიფანსის, თანამედროვე სოფელ დიკმეტაშის (Dikmetaş) დასავლეთით 400 მეტრზე, შემორჩენილია ეკლესიის ფრაგმენტები (40°23'26.15"N; 40°39'29.98"E). დარჩენილია დუღაბით ნაგები ეკლესიის კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, ნაგებია დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ქვებით. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 2 მეტრამდეა. ადგილობრივი მოსახლეობა აქ ეკლესიის არსებობას ადასტურებს და ადგილს „აღაბაშინ ჩაირს“ („ბატონის ჭალას“) უწოდებს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

არნასი, მეგალითური ნაგებობა სოფლის დასავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ არნასის, თანამედროვე სოფელ მეშებაშის (Meşebaşı) დასავლეთით 1.8 კილომეტრზე, კლდეზე შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობა (40°22'55.92"N; 40°36'38.43"E). ნაგებობა კლდის კიდეებს მრუდხაზოვნად შემოუყვება. ქვედა დონეზე, ერთ მხარეს მეორე გალავნის ფრაგმენტია. იკითხება შიდა ნაგებობების უმნიშვნელო ფრაგმენტებიც. კედლის წყობაში ალაგ-ალაგ გამოყენებულია დიდი ზომის, უხეშად დამუშავებული ქვები. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1.5 მეტრია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქალეჯიკს“ („მცირე ციხეს“) უწოდებს.

მეგალითრი ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

სიდონსი, ციხე (?) სოფლის სამხრეთით

ისტორიული სპერის სოფელ სიდონსის, თანამედროვე სოფელ იღიტბაშის (Yiğitbaşı) სამხრეთით 1.3 კილომეტრზე, კლდეზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (40°29'34.81"N; 40°46'14.51"E). ციხე ძლიერაა დაზიანებული. ალაგ-ალაგ იკითხება მიწითა და დუღაბით ნაგები უთლელი ქვის კედლების უმნიშვნელო ნაშთები. კედლები, ჩანს, კლდის კიდეებს შემოუყვებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქალე ტაშს“ („ციხის ქვას“) უწოდებს.

ციხე (?) არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

კაღანსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული სპერის სოფელ კაღანსის, თანამედროვე სოფელ მეიდანლის (Meydanlı) სამხრეთით 1.8 კილომეტრზე, მცირე კლდეზე შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობის ფრაგმენტები (40°28'20.56"N; 40°47'23.91"E), ნაშენი უხეშად დამუშავებული ქვის მშრალი წყობით. კედლები კლდის კიდეებს მრუდხაზოვნად შემოუყვებოდა. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1 მეტრია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ,,ქიზ ქალეს'' („გოგოს ციხეს“) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



12.10. 2018

ფერსორი, ციხე

ისტორიული სპერის სოფელ ფერსორის, თანამედროვე სოფელ იეშილტეპეს (Yeşiltepe) დასავლეთით 1 კილომეტრზე, რთულად მისადგომ კლდეზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (40°17'21.54"N; 40°42'28.44"E). დიდი ზომის (140 X 65 მ.) ციხის კედლები ალაგ-ალაგ იკითხება. კედლები, ჩანს, კლდის კიდეებს შემოუყვებოდა. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1.5 მეტრია. ციხის ცენტრალურ ნაწილში მართკუთხა ნაგებობის ფრაგმენტია. შესაძლებელია აქ ეკლესია ყოფილიყო. ციხის ტერიტორიაზე კლდეში გაჭრილი მოზრდილი ავზია. ციხის კლდეს ადგილობრივი მოსახლეობა „ქალე ტაშს“ („ციხის კლდეს“) უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

წყლს ავზი

ეკლესიის (?) ნაშთები

კერამიკის ფრაგმენტები

ფერსორი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ ფერსორის, თანამედროვე სოფელ იეშლტეპეს (Yeşiltepe) განაპირას შემორჩენილია ეკლესიის ფრაგმენტები (40°17'32.85"N; 40°43'11.69"E). ადგილობრივთა თქმით ეკლესია 2-3 წლის წინ დაუნგრევიათ. ადგილზე დარჩენილია დუღაბის მოზრდილი ფრაგმენტები და მოპირკეთების ქვები. გეგმა არ იკითხება.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ავჯიქოი, მონასტერი (?) სოფლის დასავლეთით

ისტორიული სპერის თანამედროვე სოფელ ავჯიქოის (Avcıköy) დასავლეთით 1.5 კილომეტრზე, ფერდზე შემორჩენილია ნაგებობების ფრაგმენტები (40°19'51.64"N; 40°52'46.67"E). ერთი ნაგებობა ექვსწახნაგა, სავარაუდოდ, გუმბათოვანი ეკლესია უნდა ყოფილიყო. შემორჩენილია საკურთხევლის ნაწილი და კედლების მცირე ნაშთები. ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვის თანაბარი მწკრივებით კირის დუღაბზე. საკურთხევლის გარე ნაწილზე შემორჩენილია შირიმის მოპირკეთების ქვები. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 4 მეტრამდეა.

ექვსწახნაგა ეკლესიის გვერდით ძლიერ დაზიანებული დარბაზული, მეორე ეკლესიაა. იკითხება გეგმა. კარი სამხრეთიდან უნდა ჰქონოდა. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1 მეტრია.

აქვე მესამე, დიდი ზომის ძლიერ დაზიანებული ნაგებობის ნაშთებია. იკითხება მართკუთხა ნაგებობის (შესაძებელია ეკლესიის) გეგმა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქილისენინ მევქის“ („ეკლესიის ადგილს“) უწოდებს. კომპლექსთან ძველი სასაფლაოა.

გადმოცემით, ეკლესია XX საუკუნის დასაწყისამდე სრული სახით იყო შემორჩენილი და აქ ისტორიულ სოფელ ჭოფოთის და ჰოგას მოსახლეობა სალოცავად დადიოდა.

მონასტერი (?) არ არის მოხსენიებული ჩვენთის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ექვსწახნადა და დარბაზული ეკლესიის ნაშთები

ექვსწახნაგა ეკლესიის ნაშთები

დარბაზული ეკლესიის ნაშთები

მართკუთხა ნაგებობის (შესაძლო ეკლესიის) ნაშთები

საფლავის ქვა

ავჯიქოი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული სპერის თანამედროვე სოფელ ავჯიქოის (Avcıköy) ჩრდილო-დასავლეთით 1.6 კილომეტრზე, მცირე ბორცვზე შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული ნაგებობის ფრაგმენტები (40°20'2.64"N; 40°52'51.03"E). ადგილზე იკითხება დუღაბით ნაგები, აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი მართკუთხა ნაგებობის კვალი. ნაგებობის გარშემო გათლილი შირიმის ქვის ფრაგმენტებია. სავარაუდოდ, აქ ეკლესია უნდა ყოფილიყო.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

13.10. 2018

მულქქოი, ხიდი

ისტორიული სპერის, თანამედროვე სოფელ მულქქოიში (Mülkköy), სოფლის აღმოსავლეთით 1 კილომეტრზე, მდინარე ჭოროხზე შემორჩენილია ხიდის გაუთლელი ქვითა და დუღაბით ნაგები ერთი ბურჯი (40°19'54.58"N; 40°55'50.70"E).

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.



ორთაორენი, ეკლესია

ისტორიული სპერის, თანამედროვე სოფელ ორთაორენის (Ortaören) (ძველი სახელი უცნობია) აღმოსავლეთით 0.9 კილომეტრზე, შემორჩენილია ეკლესიის ფრაგმენტები (40°20'4.93"N; 41°4'3.42"E). ეკლესია ძლიერაა დაზიანებული. გეგმა არ იკითხება. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქილისელერს“ („ეკლესიებს“) უწოდებს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

სოფელში ძველი ყონაღია (ე.წ. სტუმრების სახლი) (40°20'5.38"N; 41° 3'20.69"E).

ინჯესუ, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული სპერის თანამედროვე სოფელ ინჯესუს (İncesu) (ძველი სახელი უცნობია) სამხრეთ-დასავლეთით 2.8 კილომეტრზე, მცირე ბორცვზე შემორჩენილია ნაგებობის, სავარაუდოდ ციხის ფრაგმენტები (40°18'14.86"N; 41° 0'49.56"E). ციხე ძლიერაა დაზიანებული. მისი კედლები ბორცვის კიდეებს შემოუყვებოდა. ქვედა დონეზე მეორე გალავნის ნაშთებია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქალეს“ („ციხეს“) უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ზეირეკი, ეკლესია

ისტორიული სპერის თანამედროვე სოფელ ზეირეკში (Zeyrek) (ძველი სახელი უცნობია), დასახლების განაპირას შემორჩენილია მოზრდილი ეკლესიის ფრაგმენტები (40°18'49.54"N; 40°59'26.34"E). შემორჩენილია 2 მეტრამდე სიმაღლის დუღაბითა და უხეშად დამუშავებული ქვის თანაბარი მწკრივებით ნაგები კედლები. კარი სამხრეთიდან ჰქონია. საკურთხეველთან, ჩრდილოეთით და სამხრეთით ოთხკუთხა პასტოფორიუმებია. სავარაუდოდ ეკლესია ბაზილიკური ტიპის უნდა ყოფილიყო.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

კარაჰანი, მშრალი წყობის კომპლექსი სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული სპერის თანამედროვე სოფელ კარაჰანის (Karahan) (ძველი სახელი უცნობია) ჩრდილოეთით, 4 კილომეტრზე, კლდეზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი მშრალი წყობის მასშტაბური კომპლექსი (40°22'40.19"N; 41°1'7.47"E). კომპლექსის კედლები კლდის კიდეებს შემოუყვება. კედლები ნაგებია საშუალო ზომის ქვის მშრალი წყობით. კედლების სიგანე ზოგიერთ მონაკვეთში 3 მეტრია. კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1 მეტრამდეა. ნაგებობას ქვედა დონეზე მეორე გალავანი შემოუყვება. ორივე გალავანს ოთხკუთხა კონტრფორსები აქვს ჩართული. შიგნით, ზედა დონეზე, ათზე მეტი მცირე ზომის ნაგებობის ნაშთია.

კარაჰანი, კომპლექსი

ისტორიული სპერის თანამედროვე სოფელ კარაჰანის (Karahan) (ძველი სახელი უცნობია) ჩრდილოეთით 0.5 კილომეტრზე, ფერდზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ორი ნაგებობის ნაშთი (40°20'53.93"N; 41°0'8.27"E). ორივე ნაგებობა უხეშად თლილი ქვითა და დუღაბითაა ნაგები. ერთი მათგანი მართკუთხა ფორმისაა და კედლების გარეთ სამკუთხა შვერილები აქვს. მეორე ნაგებობა ამ ნაგებობიდან 30 მეტრში მდებარეობს. მისი დამხრობა აღმოსავლეთითაა. იკითხება მხოლოდ საძირკვლამდე დანგრეული დასავლეთი კედელი და ჩრდილოეთი კედლის უმნიშვნელო ფრაგმენტი. შესაძლებელია, ეს ნაგებობა მცირე ეკლესია ყოფილიყო. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ხანკაიას“ („სახლიან კლდეს“) უწოდებს.

ფოტო 1,2,3,4 - ნაგებობა 1.

ფოტო 5,6 - ნაგებობა 2, სავარუდოდ ეკლესია.

ბახჩევანქი, ციხე-ქალაქი სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ ბახჩევანქის, თანამედროვე სოფელ იაილაჯიკის (Yaylacık) აღმოსავლეთით 3 კილომეტრზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი მასშტაბური ციხე-ქალაქის ნაშთები (40°22'15.60"N; 41°6'59.57"E). ციხე განფენილია ფერდზე. მართკუთხა გეგმარების დიდი ზომის ციხის (230 X 135 მ.) ზღუდეს ალაგ-ალაგ დიდი ზომის კონტრფორსები აქვს. კედლები ნაგები ყოფილა ქვითა და დუღაბით. განირჩევა ნაგებობების გეგმები. ციხესთან მოზრდილი სასაფლაოა. ციხე გეგმის დონემდეა დანგრეული. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ვერან შეჰირს“ („ვერან ნაქალაქევს“) უწოდებს. თურქულ წერილობით წყაროებში ამ ადგილას დაფიქსირებულია ჯვრის ორნამენტიანი და ვერძის ფორმის საფლავის ქვები, რომლებიც ამჟამად დაკარგულია.

ეს ტერიტორია ეკუთვნის ჩორმაირის მხარეს, რომელიც ცნობილია ისტორიული წყაროებიდან და რომელიც დავით III კურაპალატს გადასცა ბიზანტიამ, სახელწოდება „ჩორმაირი“ შემორჩენილია და მოსახლეობა ამ მხარეს დღემდე ასე უწოდებს.

„Google Earth“-ის აეროფოტო

საარქივო ფოტო

ჭიფოთი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ ჭიფოთში, თანამედროვე სოფელ ალაჯაბუკის (Alacabük) კაზანჯიკის უბანში, ადგილობრივთა თქმით ყოფილა ეკლესია (40°21'1.11"N; 40°57'38.09"E). 1935 წელს ეკლესიაზე სახლი დაუშენებიათ და ეკლესიის საკურთხევლის და კედლების ნაწილი სახლის კედლებში ჩაუყოლებიათ. სახლში ჩატანებულია სარკმლის თავსართი, რომელზეც ორი მარტივი ჯვრის ორნამენტია.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ისტორიული სპერის თანამედროვე სოფელ აკსეკის (Akseki) (ძველი სახელი უცნობია) ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.9 კილომეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას. ეკლესია დაახლოებით 20 წლის წინათ, გზის გაყვანისას დაუნგრევიათ. ეკლესიისაგან ადგილზე არაფერია შემორჩენილი (40°18'3.97"N; 41° 0'45.84"E).

ისტორიული სპერის სოფელ ხოგაში, თანამედროვე სოფელ გუნეიში (Güney), სოფელში, ფურნის ადგილას მოსახლეობა გადმოცემით ასახელებს ეკლესიას (40°20'15.90"N; 40°55'39.40"E), ნაგებობა არავის ახსოვს.

14.10. 2018

ისასორი, ეკლესია და არქეოლოგიური ნივთები

ისტორიული სპერის სოფელ ისასორში, თანამედროვე სოფელ უზუმბაღში (Üzümbağı), ჯამეს უბანში (უბნის ისტორიული სახელწოდებაა ვახვათი), სასაფლაოს ტერიტორიაზე შემორჩენილია ეკლესიის უმნიშვნელო ნაშთები (40°43'5.78"N; 41°20'21.65"E).

ნაეკლესიარი დაფიქსირდა ჩვენი ჯგუფის მიერ 2010 წლის ექსპედიციაში.

სოფელ ისასორში, თანამედროვე სოფელ უზუმბაღში (Üzümbağı), ადგილზე, რომელსაც „ასკილეთს“ უწოდებენ გადმოცემით ყოფილა ეკლესია (40°43'16.25"N; 41°19'53.82"E), თუმცა მოსახლეობას ის არ

ახსოვს. გადმოცემით სოფელში ყოფილა 5-6 ეკლესია. სოფელთან დასტურდება ადგილი სახელწოდებით „ტაძარი“.

ამავე სოფელში, ადგილობრივმა მცხოვრებმა გვაჩვენა ამ არეალში მოპოვებული არქეოლოგიური ნივთები.

ხოდაჭური, მღვიმე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიულ სპერში, სოფელ ხოდაჭურის, თანამედროვე სოფელ სირაკონაკის (Sırakonak), მთავარი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, რთულად მისადგომ კლდეზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი მღვიმე ნაგებობის ფრაგმენტებით (40°39'31.78"N; 41°14'38.15"E).

15.10. 2018

კარსორი, ეკლესია სოფლის სამხრეთით

ისტორიულ სპერში, სოფელ კარსორის, თანამედროვე სოფელ პეტეკლის (Petekli), სამხრეთით, სოფლის საზაფხულო სადგომებზე ყოფილა წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ეკლესია (40°23'49.44"N; 40°55'8.84"E), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს. ეკლესია ამჟამად განადგურებულია.

სპერი, მედრესეს შენობა

ისტორიულ სპერში, თანამედროვე ქალაქ ისპირში (Ispir), ქალაქშის ცენტრში შემორჩენილია ძველი მედრესე (40°28'59.13"N; 40°59'54.47"E), ამჟამად მიმდინარეობს ნაგებობის რესტავრაცია.



15.10. 2018

მითენსის კოშკი

ისტორიულ სპერში, სოფელ მითენსის, თანამედროვე სოფელ კირაზლის (Kırazlı), სამხრეთ-აღმოსავლეთით, კლდეზე ადგილობრივთა თქმით ყოფილა კოშკი (40°27'1.93"N; 40°53'9.65"E), რომელიც ამჟამად სრულად განადგურებულია.

კოშკი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ზემო ქანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული სპერის სოფელ ზემო ქანის, თანამედროვე სოფელ იუქარი ოზბაღის (Yukarı Özbağ) ჩრდილოეთით 2.4 კილომეტრზე, საზაფხული სადგომებთან, მცირე კლდეზე შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობის ნაშთები (40°29'31.83"N; 40°57'4.45"E). ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული, ძირითადი ნაწილი ქვაყრილის სახითაა შემორჩენილი. ალაგ-ალაგ იკითხება კედლების უმნიშვნელო ფრაგმენტები. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 0.5 მეტრია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქილისე თაშს“ („ეკლესიის კლდეს“) უწოდებს.

მშრალი წყობის ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

გირმანი, ეკლესიები სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ გირმანის, თანამედროვე სოფელ სირაკონაკის (Sırakonak) იუმრუჯას უბნის ჩრდილო-აღმოსავლეთღით 2.5 კილომეტრზე, საზაფხულო სადგომებზე შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები (40°44'25.36"N; 41°14'50.25"E). იკითხება მცირე ზომის, უხეშად დამუშავებული ქვის თანაბარი მწკრივებით ნაგები ეკლესიის დასავლეთი ნაწილი. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 2 მეტრია. აქვე ქვაა, სავარაუდოდ სომხური წარწერით. ადგილობრივი მოსახლეობა საზაფხულო სადგომების ადგილს, სადაც ეკლესიაა „ხანგირმანს“ უწოდებს.

ამავე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.3 კილომეტრზე, საზახფულო სადგომებზე, ადგილობრივთა თქმით კიდევ ერთი ეკლესიაა (40°44'24.61"N; 41°13'43.02"E). ამ ადგილს „ზიარეთლის“ უწოდებენ.

ეკლესიები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

გაღმუთი, ეკლესია

ისტორიული სპერის სოფელ გაღმუთში, თანამედროვე სოფელ სირაკონაკის (Sırakonak) ინჯილის უბანში შემორჩენილია ეკლესიის ნაშთები (40°44'57.22"N; 41°10'43.14"E). იკითხება მცირე ზომის, უხეშად დამუშავებული ქვის თანაბარი მწკრივებით ნაგები ეკლესიის დასავლეთ კედლის და სამხრეთ კედლის ნაწილი. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1 მეტრია. ეკლესიაზე ამჟამად საცხოვრებელი სახლია დაშენებული. სახლის კიბეში ჩატანებულია ეკლესიის დიდი ზომის ქვა წარწერით 1901. აქვე ყოფილა კიდევ ერთი წარწერიანი ქვა, რომელიც ამჟამად შელესილია.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ვაინა, ხიდები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული სპერის სოფელ ვაინას, თანამედროვე სოფელ სირაკონაკის (Sırakonak) სუნგურლუს უბნის ჩრდილო-დასავლეთით 4 კილომეტრზე, საზაფხულო სადგომებზე, ზ.დ. 2524 მეტრზე, შემორჩენილია ქვის მცირე ზომის თაღოვანი ხიდების ფრაგმენტები. ერთი ხიდი, საზაფხულო სადგომების დასავლეთით სრულადაა დარჩენილი (40°47'30.31"N; 41°8'22.08"E). საზაფხულო სადგომების აღმოსავლეთით მეორე ხიდიდან, მხოლოდ ბურჯებიღაა (40°47'25.02"N; 41°8'30.13"E). მესამე ხიდისგან არაფერია დარჩენილი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „დავალს“ უწოდებს.

ხიდები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

17.10. 2018

ფოქსორი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული სპერის სოფელ ფოქსორის, თანამედროვე სოფელ აქგიუნეის (Akgüney) სამხრეთ-დასავლეთით, რთულად მისადგომი კლდის თავზე მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°28'51.34"N; 40°49'41.30"E). მასშტაბური კომპლექსისგან ალაგ-ალაგ განირჩევა კედლის ფრაგმენტები და შიდა ნაგებობების კვალი. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1 მეტრია. ნაგებია საშუალო ზომის უხეშად დამუშავებული ქვით, უდუღაბოდ.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

19.10. 2018

დოლისყანა, ეკლესია (?)

ისტორიული კლარჯეთის სოფელ დოლისყანის, თანამედროვე სოფელ ჰამამლის (Hamamlı) ჩრდილოეთით, კლდოვან კონცხზე ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას (სავარაუდო ადგილი 41°10'8.90"N; 41°57'12.68"E). ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ეკლესია (?) არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ძეგლის სავარაუდო ადგილი

ანბანური საძიებელი

აგუნდერი, ხიდი 42
ავჯიქოი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 55
ავჯიქოი, მონასტერი (?) სოფლის დასავლეთით 53
ალგაჰანსი, ეკლესია 47
არნასი, მეგალითური (?) ნაგებობა სოფლის დასავლეთით 50
ბახჩევანქი, ციხე-ქალაქი სოფლის აღმოსავლეთით 60
გაბანი, ეკლესია და თურბე 11
გაბანი, ხიდი 41
გარმირიქი, ეკლესია 16
გარმირიქი, ეკლესია (?) სოფლის აღმოსავლეთით 18
გარმირიქი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 18
გაღმუთი, ეკლესია 66
გაღმუთი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვა 32
გინდასი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 44
გირანსი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვა 8
გირმანი, ეკლესიები სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 65
დაპი, მეგალითური კომპლექსი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 19
დიშასორი, მონასტერი სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 39
დოლისყანა, ეკლესია (?) 68
ვაინა, ხიდები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 67
ვანქი, ეკლესია 22
ვაშლოვანის ციხე 30
ვაჰნასი, მშრალი წყობის ნაგებობა 28
ვაჰნასი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 27
ვაჰნასი, ციხე 27
ზეირეკი, ეკლესია 57
ზემო ქანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 65
ზემო ქოლიქი, ხიდი სოფლის აღმოსავლეთით 6
ზირენსი, სოფელში დაფიქსირებული ქვა ოსმალური სიმბოლიკით 21
ინჯესუ, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 56
ისასორი, ეკლესია და არქეოლოგიური ნივთები 63
იშხანი, ხიდი 41
კაისერი, მშრალი წყობის ნაგებობა 6
კალგონსი, ეკლესია (?) და საფლავის ქვა 7
კანასორი, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით 8
კანასორი, ხიდი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 9
კარაჰანი, კომპლექსი 59
კარაჰანი, მშრალი წყობის კომპლექსი სოფლის ჩრდილოეთით 58
კარსორი, ეკლესია სოფლის სამხრეთით 64
კაღანსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 48
კაღანსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 51
კილენსი, სოფელში დაფიქსირებული არაბულწარწერიანი ქვები 30
კილენსი, ციხე სოფლის სამხრეთით 29
კომკი, ხიდი სოფლის სამხრეთით 42
მადური, ეთნოგრაფიული მუზეუმი 22
მეზერექი, ეკლესია 43
მითენსის კოშკი 65
მულქქოი, ხიდი 55
მუხურგური, ეკლესია 33
მუხურგური, ციხე 34
ნორაქალაქის ციხე 48
ორთაორენი, ეკლესია 56
პატარა გოჯუქტური, ძველი ჯამე და ყონაღი 46
სიდონსი, ციხე (?) სოფლის სამხრეთით 51
სპერი, მედრესეს შენობა 65
სპერი, ციხე 37
სპერი, ძველი ჯამე 39
სპერი, ხიდი 38
ტანმოთი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 14

ტაპსური, ეკლესია (?), საფლავის ქვები 32
ფერსორი, ეკლესია 53
ფერსორი, ციხე 52
ფოქსორი, მშრალი წყობის ნაგებობა 68
ქალეფისირიკი, ციხე 13
ქარაქაფური, მეგალითური ნაგებობა 28
ქერაფი, ეკლესია 40
ქიფანსი, ეკლესია 49
ქომფური, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით 9
ქომფური, ციხე სოფლის აღმოსავლეთით 9
ქურდეშენი, ეკლესია 15
ჭიფოთი, ეკლესია 62
ხოდაჭური, დარანი 35
ხოდაჭური, ეკლესია გირმანის უბანში 26
ხოდაჭური, ეკლესია ჯუჯეგაღის უბანში 24
ხოდაჭური, ეკლესია ჰანტაჩორის უბანში 26
ხოდაჭური, მღვიმე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 64
ხოდაჭური, სომხური სკოლა და წარწერიანი ქვები 35
ხოზაფური, ეკლესია 45
ხორტიკი, ეკლესია სოფლის სამხრეთით 7
ხუნუთი, ეკლესია სირთბაშის საზაფხულო სადგომებზე 23
ხუნუთი, ციხე ჯოშის უბნის დასავლეთით 23
ხუნუთი, ძველი ჯამე 24
ჯენკერი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 21
ჰიშენი, ნუმან ფაშას სასახლე 11